უძველესი ადამიანი და მისი ცხოვრება

გაიხსენე, რა იყო უძველესი ადამიანების ცხოვრების შესახებ. წაიკითხე ტექსტი და მეტი ინფორმაციით შეავსე შენი ცოდნა.

ცხოვრება ძველად არც ისე ადვილი იყო. ადამიანს არ შეეძლო ლამაზი და **მყუდრო** სახლის აგება. არც ამდენი საოჯახო ნივთი თუ სამუშაო იარაღი ჰქონდა. მაშ, როგორ ცხოვრობდა იგი?

ძალიან, ძალიან დიდი ხნის წინ ადამიანი უფრო მეტად ნადირობით ირჩენდა თავს. ნადირობის მთავარი იარაღი იყო ცული და დანა. მათ მონადირე **კაჟისაგან** ამზადებდა. შემდეგ ადამიანმა სანადირო და საბრძოლო იარაღის გაკეთება ცხოველის ძვლისაგან დაიწყო. ამისათვის ის ძვალს ჯერ ცხელ წყალში ალბობდა და არბილებდა. შემდეგ ასწორებდა და შუბად აქცევდა.

მონადირე ყველაზე ხშირად მამონტს ერჩოდა. ეს იმიტომ, რომ მისი ბეწვიც, ხორციცა და ძვლებიც გამოსადეგი იყო. მამონტზე ხშირად რამდენიმე ათეული ადამიანი ერთად ნადირობდა. ზოგჯერ უკან მისდევდნენ და შუბებს ესროდნენ. ზოგჯერ ორმოს თხრიდნენ. შიგ წვეტიან სარებს ასობდნენ და ტოტებით ფარავდნენ. ორმოში ჩავარდნილი მამონტის მორევა უფრო იოლი იყო.

ძველად ადამიანი ბინად ბუნებრივ გამოქვაბულს იყენებდა. მას ცეცხლის შუქით ანათებდა. სამოსს ცხოველის ტყავისაგან კერავდა ძვლის ნემსით. სამოსს რთავდა ჭრელად შეღებილი უამრავი ნიჟარითა და კენჭით. იმავე მასალით აკეთებდა ბევრნაირ სამკაულს: მძივს, სამაჯურს, საყურეს... **სადგომის** კედლებზე კი ნადირობის სცენებს ხატავდა. ამისთვის ბუნებრივ საღებავს თავად ამზადებდა მცენარეებისა და ფერადი ქვებისაგან.

ზოგან უძველესი ადამიანი **კარვებშიც** ცხოვრობდა. კარავს ცხოველის ტყავისგან კერავდა. კარვის **სარებად** ცხოველთა დიდ ძვლებს იყენებდა. ძვლებზე ტყავს ამაგრებდა. თუ კარავი დიდი იყო, შიგ ორი ან სამი ოჯახი ცხოვრობდა. თუმცა ყველა ოჯახს თავისი **კერია** ჰქონდა. კერიასთან თბებოდნენ, იქვე საჭმელს ამზადებდნენ.

ასეთი იყო ადამიანის ცხოვრება მანამ, სანამ იგი მეტ ცოდნას შეიძენდა. უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნაში კი მას ცოდნა და გამოცდილება დაეხმარა.

რა გაიგე ტექსტიდან ახალი უძველესი ადამიანის ცხოვრების შესახებ?

კომპონენტი: შეჯამება *დონე:* 4.2

ტექსტის გაგება

ყოველ შეკითხვას შეურჩიე თითო სწორი პასუხი.

1 ტექსტის პირველ აბზაცში ავტორი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ:

ა) ძველად ადამიანი საცხოვრებლად მყუდრო სახლს აგებდა.

ბ) ძველად ადამიანს უამრავი სამუშაო იარაღი ჰქონდა.

გ) ძველად ადამიანს ცხოვრების რთული პირობები ჰქონდა.

2 უძველესი ადამიანის <u>ძირითადი</u> საქმიანობა იყო:

ა) გამოქვაბულის კედლების მოხატვა.

ბ) დიდ ცხოველებზე ნადირობა.

გ) კენჭებისაგან სამკაულების კეთება.

3 პირველი სანადირო იარაღი ადამიანმა დაამზადა:

ა) კაჟისაგან. ბ) ძვლისაგან. გ) ხისაგან.

4 ძველად მონადირეები უფრო ხშირად მამონტს ერჩოდნენ, რადგან:

ა) ადვილი იყო მასზე ძვლის შუბებით ნადირობა.

ბ) გამოსადეგი იყო მისი ხორცი, ბეწვი და ძვლები.

გ) ეს ცხოველები საფრთხეს უქმნიდნენ მათ ოჯახებს.

5 უძველესი ადამიანი ნადირობის სცენებს ხატავდა:

ა) გამოქვაბულის კედელზე. ბ) კაჟის იარაღზე. გ) ცხოველის ტყავზე.

6 ტექსტის მიხედვით, პირველყოფილი ადამიანი კარავს:

ა) ნადირობის ამსახველი ნახატებით ალამაზებდა ხოლმე.

ბ) საკუთარი ხელით კერავდა ცხოველის ტყავისაგან.

გ) შეღებილი ნიჟარებითა და კენჭებით რთავდა.

7 ტექსტის ძირითადი მიზანია, გაგვაცნოს:

ა) რატომ ნადირობდა უძველესი ადამიანი კაჟისაგან დამზადებული იარაღით.

ბ) რით ათბობდა და ანათებდა უძველესი ადამიანი თავის საცხოვრებელს.

გ) როგორ აგროვებდა უძველესი ადამიანი ცოდნას უკეთესი გარემოს შესაქმნელად.

▶▶▶ ლექსიკა

1 გაარკვიე ხაზგასმული სიტყვების მნიშვნელობები.

1. ადამიანმა **მყუდრო** ადგილი შეარჩია სახლისთვის.
   ა) დიდი. ბ) თავისუფალი. ბ) წყნარი.
2. სანადირო იარაღს **კაჟისაგან** ამზადებდნენ.
   ა) დიდი ქვისაგან. ბ) მაგარი ქვისაგან. გ) პრიალა ქვისაგან.

2 ხაზებით დააკავშირე სიტყვები და მათი მნიშვნელობები.

1. სადგომი	ცეცხლის დასანთები ადგილი მიწის იატაკზე.
2. კერია	ერთი ადგილიდან სხვა ადგილზე გადასატანი სადგომი.
3. კარავი	ბოლოწათლილი წვრილი ხე მიწაში ჩასარჭობად.
4. სარი	საცხოვრებელი ადგილი.

3 დაწერე ჩამოთვლილთა გამაერთიანებელი სიტყვა.

1. მძივი, სამაჯური, საყურე არის ----------.
2. ცული, დანა, შუბი არის ----------.

4 რომელია საპირისპირო მნიშვნელობის სიტყვები (ანტონიმები)?

ა) ბუნებრივი – ხელოვნური. ბ) იოლი – მარტივი. გ) მყუდრო – მშვიდი.

▶▶▶ გრამატიკა

1 დაწერე ფრჩხილებში ჩასმული სიტყვები სწორი ფორმით.

1. ადამიანი ნიჟარებით რთავდა *(სამოსი)* ----------.
2. ძველად ადამიანი *(ძვალი)* ---------- იარაღითაც ნადირობდა.

2 სწორად შეარჩიე გამოტოვებული სიტყვები.

1. ყველა ოჯახს ---------- კერია ჰქონდა გასათბობად. ***(თავისი / მისი)***
2. ადამიანი იარაღისთვის იყენებდა კაჟს, ---------- ის უფრო გამძლე მასალა იყო. ***(რათა / რადგან)***

გრამატიკა

3 **იპოვე შეცდომები და აღნიშნე X- ით.**

☒ *სანადიროთ.*	*სანადიროდ.*
1. ☐ ამდენი საოჯახო ნივთი.	☐ ამდენი საოჯახო ნივთები.
2. ☐ ისინი მიწას თხრიდენ.	☐ ისინი მიწას თხრიდნენ.
3. ☐ იგივე მასალით.	☐ იმავე მასალით.

4 **დაწერე მრავლობით რიცხვში.**

1. ტყე – ----------.
2. მონადირე – ----------.
3. მცენარე – ----------.
4. საყურე – ----------.

5 **დაწერე სიტყვები ნიმუშის მიხედვით.**

ნიმუში: რბილი – არბილებს.

1. ლამაზი – ----------.
2. იოლი – ----------.

წერა

1 **დაწერე შემაჯამებელი ტექსტი „უძველესი ადამიანის ცხოვრება“. ამისათვის გამოიყენე ტექსტის გააზრებისთვის დასმული კითხვები და შენი**

პასუხები. მაგალითად, დაიწყე ასე:

პირველყოფილი ადამიანის ძირითადი საქმიანობა იყო ——————————————————
(წინადადება დაასრულე შენი პასუხის მიხედვით).

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

2 **აღწერე შენი საცხოვრებელი გარემო. ისაუბრე:** *რა მასალით არის აგებული სახლი; როგორ არის მოწყობილი ბინა; რა ალამაზებს ამ გარემოს და სხვა.* **გააფორმე შენი ნაწერი ნახატებით.**

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————

——————————————————————————————————————